საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვსევოლოდსკის ელჩობა

ვსევოლოდსკის ელჩობა კახეთში 1593–94, რუსეთის სამეფოს ელჩობა კახეთში. მოეწყო იორამისა და კირილეს ელჩობის საპასუხოდ, როდესაც კახეთის მეფემ, ალექსანდრე II-მ რუს. ხელმწიფეს, თედორე ივანეს ძეს სთხოვა დაეცვა კახეთი საშამხლოს თავდასხმებისაგან. ვ. ე-მ ალექსანდრე II-ს საჩუქრებთან ერთად გადასცა ბორის გოდუნოვის (რ-საც თედორე მეფემ კახეთის საქმეები მიანდო) წერილი, რ-შიც ნათქვამი იყო, რომ რუს. ხელმწიფემ ჯარი გაგზავნა საშამხლოში. გოდუნოვი კახეთის მეფეს სთხოვდა, მასაც გაეგზავნა ჯარი ტარკში და რუს. ჯარის სარდალთან შეთანხმებით ემოქმედა. ვ. ე-ს სამშობლოში დაბრუნებისას გაჰყვნენ კახეთის სამეფოს ელჩები – ხურშიტა და იორამი.

წყარო: Белокуров С. А., Сношения России с Кавказом, в. 1 (1578–1613), М., 1889.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967.

ვ. მაჭარაძე